სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/24

ქ. თბილისი 17 აპრილი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმების (17.05.2023 №5, 04.03.2024 №3), აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 მარტის №01-05-04/39 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-9 მუხლის „ე" და „ო" ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს.

ბ) მე-10 მუხლის:

ბ.ა) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და

თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.
7. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.";

ბ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. დეკანის მოადგილე სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევითი პროექტების განხორციელების ორგანიზებას.";

გ) დებულების მე-4 თავი ამოღებული იქნეს;

დ) მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:
ა) 801 - პროგრამული ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი;
ბ) 802 - კომპიუტერული ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი;
გ) 803 - საინფორმაციო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;
დ) 804 - საინფორმაციო სისტემების აკადემიური დეპარტამენტი;
ე) 805 - ხელოვნური ინტელექტის აკადემიური დეპარტამენტი;
ვ) 806 - გამოთვლითი მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტი;
ზ) 807 - მართვის სისტემების და ავტომატიზაციის აკადემიური დეპარტამენტი;
თ) 808 - მიკროპროცესორული და საზომი სისტემების აკადემიური დეპარტამენტი;
ი) 809 - ინტერდისციპლინური ინფორმატიკის აკადემიური დეპარტამენტი;
კ) 810 - საინჟინრო ფიზიკის აკადემიური დეპარტამენტი;
ლ) 811 - მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტი;
მ) 812 - ბიოსამედიცინო ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი;
ნ) 813 - ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი.
3. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებია:
ა) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო–სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;
ბ) საინჟინრო ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია.
გ) ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;
დ) ზოგადსაუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირების ცენტრი;
ე) აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი;
ვ) ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური ცენტრი „ერთად";
ზ) იუნესკოს ცენტრი;
თ) ბირთვული ინჟინერიის ცენტრი.";

ე) 23-ე მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები.“;

ე.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია იქმნება საფაკულტეტო ბრძანებით, მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - რექტორის ბრძანებით, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები კი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**